ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №11

2016 წლის 21 მარტი

ქ. ოზურგეთი

,,ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ'' ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 1 თებერვლის №2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილების, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილის, ,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი" საქართველოს კანონის 63-ე მუხლის და ,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება ,,ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ'' ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 1 თებერვლის №2 დადგენილებით დამტკიცებულ დანართში (www.matsne.gov.ge, 08/02/2016, სარეგისტრაციო კოდი: 190040000.35.171.016107) და დანართის მე-15 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ა) ,,3. ერთ-ერთი მშობლის ან/და მეურვის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი (ასლი);

ბ) ,,4. ქორწინების მოწმობა, ასეთის არსებობის შემთხვევაში.".

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ ოზურგეთის
მუნიციპალიტეტის საკრებულოს **გელა კობალაძე**
თავმჯდომარე